საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან კოკორაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	75	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 02.07.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის N1/138 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლევან კოკორაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 01 დეკემბრის N1/214 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 22 პირი, მათ შორის - ლევან კოკორაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **ლევან კოკორაშვილი**

ასაკი: **48 წლის**

დაბადების თარიღი: **25 აგვისტო, 1972 წელი**

განათლება: **თბილისის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **19 წელი**

სამუშაო ადგილი: **ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირი (გამგეობის თავმჯდომარე 2001-2019 წლებში)**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ლევან კოკორაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
3. პიროვნული და პროფესიული ქცევა;
4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
5. ფინანსური ვალდებულება.

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის გადახდისას, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორი გამოთქვამს მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევს კანდიდატის მიუკერძოებლობას, კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, სამართლიანობას, კომპეტენტურობას, თავშეკავებულობას და ა.შ. რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ იგი სენტიმენტალური და მგრძნობიარე, ფაქიზი ხასიათის ადამიანია, თუმცა მისივე

განმარტებით, ეს თვისებები სისუსტედ არ უნდა ჩაითვალოს.

- გამოკითხული რესპოდენტებიდან კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმში ყველა რესპოდენტი კანდიდატს აფასებს ძალიან კარგად.

ლევან კოკორაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მხრიდან სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 8 დეკემბრიდან 2020 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით, კანდიდატის მიმართ გამოვლენილი არ არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის ფაქტები.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

სხვა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ლევან კოკორაშვილის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოიპოვება.

- ყვარლის რაიონის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის გამგეობის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლევან კოკორაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, **კანდიდატი მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში:**

- სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება). ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.
- სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება). ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

- სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

- ადმინისტრაციულ საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.
- სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ (დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება). გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს სამართალწარმოება.
- სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება). ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
- სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ (დავის საგანი: თანხის დაკისრება). ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.
- სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ (დავის საგანი: ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

წარმოდგენილი და მოძიებული მასალები არ შეიცავს ინფორმაციას, რაც ეჭვქვეშ დააყენებს კანდიდატის კეთილსინდისიერებას, რაც **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ

ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის **მიუკერძოებლობაზე, კეთილსინდისიერებაზე, სამართლიანობაზე, პრინციპულობაზე, მიზანდასახულობასა და გაწონასწორებულობაზე, რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ლევან კოკორაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. სამართლის ნორმების ცოდნა;
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
4. პროფესიული თვისებები;
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
6. პროფესიული აქტივობა.

1. **სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი**

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები არ იყო მყარად არგუმენტირებული. კერძოდ, არასრულყოფილი იყო კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები, რომელიც უკავშირდებოდა, ნორმის განმარტების მეთოდებს; კანონის რეტროაქტიული და რეტროსპექტრული უკუძალის საკითხს; ნორმატიული აქტების იერარქიას; ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს; ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების საკითხს; კანდიდატმა ვერ შესძლო ფორმალური და მატერიალური დანაშაულის დიფერენცირება, ასევე ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებებს შორის ზღვარის გავლება.

კანდიდატმა ვერ ისაუბრა პრევენციულ ღონისძიებებზე ადმინისტრაციულ პროცესში; კანდიდატის პასუხი არ იყო დამაჯერებელი კითხვაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გამიჯვნა.

კანდიდატის პასუხი სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, კერძოდ კი სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ (შებრუნების უზრუნველყოფა), შეიძლება შეფასდეს სწორად, ასეთივე შესაძლებლობას იძლევა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლთან დაკავშირებით (გადახვევა უფლებიდან) გაცემული პასუხი; კანდიდატმა შესძლო ადამიანის ღირსებასა და პატივს, როგორც ორ დამოუკიდებელ უფლებას შორის ზღვარის გავლება. ბოლომდე თანმიმდევრული არ იყო კანდიდატის მსჯელობა უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების სავალდებულობის თაობაზე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს კანდიდატი მითითებულ მახასიათებელში შევაფასო 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია იურიდიულ სფეროში მუშაობის 19 წლიანი გამოცდილება.

ზეპირი გასაუბრების პროცესში კანდიდატის მსჯელობა და შეფასებები ხშირ შემთხვევაში არ იყო თანმიმდევრული, რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გავეცანი ლევან კოკორაშვილის მიერ **შედგენილ შუამდგომლობას („უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ“) და საჩივარს („ახმეტის სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის ბრძანებაზე“).**

როგორც აღინიშნა, გასაუბრების ეტაპზე პასუხის დასაბუთების დროს, ხშირ შემთხვევაში კანდიდატის პასუხები არ იყო თანმიმდევრული და დამაჯერებელი, რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **17 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საქმეები და მისი სამუშაო გამოცდილება მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **14 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატს არ აქვს აკადემიური ხარისხი. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა, მისი პროფესიული საქმიანობა არ მაძლევს კანდიდატის შეფასების მიღმა დატოვების შესაძლებლობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

6. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

კანდიდატი არ არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 3 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 75 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 02.07.2021 წ.